**ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი**

**სხდომის ოქმი N 7**

**ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65** **10.07.2024 წელი**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი.**

**სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 18 წევრი**: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაიძე, ლია დიასამიძე, სანდრო ხურციძე, ლანა გოგოძე, ილია დვალიშვილი, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, თეონა ადეიშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ შენგელია.

**სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:** გელა ვარდოსანიძე, ბიჭიკო პაიკიძე, გიორგი ტყეშელაშვილი, მაკა ზარნაძე, მალხაზ ცერცვაძე, კობა ძაგნიძე.

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაბის“ წევრები (გრიგოლ მატარაძე, ალექსანდრე მჟავანაძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, ლიზა ტყეშელაშვილი და ნატო დვალი) ბოიკოტს უცხადებს საკრებულოს მუშაობას და არ ესწრებიან საკრებულო სხდომას.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - **ტარიელ ბარამიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე.**

**მოწვეული სტუმრები:**

ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დრექტორი - **გვანცა სიგუა**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს  ღია სხდომას 14 $^{00}$ საათზე გახსნილად აცხადებს .

სხდომის თავმჯდომარემ  სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

**დღის წესრიგი**

1. ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;“

**მომხს:** ***გელა ჩიკვაიძე***

2.ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2023-2024 სასწავლო წლის შეჯამების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

**მომხს.:** ***გვანცა სიგუა***

3.სხვადასხვა.

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 18

წინააღმდეგი - არცერთი

**დაადგინეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს:**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ  საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2024 წლის 01 ივლისის N65-65241838 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვანის მუნიციპალიტეტის  საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ივნისის თვის ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 817 (რვაასჩვიდმეტი) ლარი, რაც  ჯამში შეადგენს 8170 (რვაათასასსამოცდაათ) ლარს.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 18

წინააღმდეგი – არცერთი.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

განკარგულება N გ-65.6524192001

**მოისმინეს:**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გვანცა სიგუამ წარმოადგინა .ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2023-2024 სასწავლო წლის შეჯამების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;
მომხსენებელმა ვრცლად ისაუბრა და აღნიშნა, რომ:

ვანის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 25 საბავშვო ბაღი. დაფინანსების წყაროა ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

2024 წ გაერთიანების თანამშრომლები საშტატო განრიგით შეადგენს 331.

საბავშვო ბაღების გაერთიანების ოცდახუთივე საბავშვო ბაღში სასწავლო წელი დაიწყო 2023წ. 18 სექტემბერს. სულ ჩარიცხული იყო 616 ბავშვი. კვება გამოცხადდა 500 ბავშვზე.

2023 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის თვეში გაერთიანების ოცდახუთივე საბავშვო ბაღში ჩატარდა მონიტორინგი სანიტარია-ჰიგიენასა და სასწავლო -სააღმზრდელო პროცესებთან დაკავშირებით.

ოქტომბრის თვეში ოცდახუთივე საბავშვო ბაღში ჩატარდა საშემოდგომო ღონისძიებები.

2023 წ. მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით დაიწყო სოფ. მუქედის საბავშვო ბაღის მშენებლობა 1 200 000 ლარის ღირებულებით.

2023 წ. სექტემბერ- დეკემბრის პერიოდში სულ გაიხარჯა 195909.2 ლარი. აქედან საკვებ პროდუქტებზე გაიხარჯა 121 168 ლარი, სხვადსხვა საჭიროებისათვის - 74741.2 ლარი.

2024 წ. იანვარი - ივნისის პერიოდში სულ გაიხარჯა 200123.47 ლარი. აქედან საკვებ პროდუქტებზე გაიხარჯა 159958.09 ლარი, სხვადასხვა სა ყველა საბავშვო ბაღში განხორციელდა ტრანზიცია ბაღიდან სკოლაში და თემთან ურთიერთობა. (ვიზიტები ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში, ვიზიტები ამბულატორიაში). დაგეგმილ აქტივობებში აქტიურად იყვნენ ჩართული მშობლები.

ინკლუზიური განათლების სპეციალისტები (სპეც. პედაგოგები, ლოგოპედები, ფსიქოლოგები) გაერთიანების ოცდახუთივე საბავშვო ბაღში აღმზრდელებთან ერთად გეგმავდნენ და ახორციელებდნენ განმავითარებელ აქტივობებს.

10 ივნისიდან 19 ივნისის ჩათვლით 25 საბავშვო ბაღში ჩატარდა სასკოლო მზაობის ჯგუფების გამოსაშვები ღონისძიებები,

2023 – 2024 სასწავლო წელი 17 საბავშვო ბაღში დასრულდა მიმდინარე წლის 14 ივნისს. რაც შეეხება ქალაქის N1, N2, სალხინოს, დიხაშხოს, შუამთას, მთისძირისა და შუაგორას საბავშვო ბაღებს, სასწავლო პროცესი გრძელდება მიმდინარე წლის 28 ივნისის ჩათვლით.

აღნიშნულ პერიოდში ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების ადმინისტრაციამ, 15 საბავშვო ბაღის უფროსმა და 30 აღმზრდელმა გაიარეს სხვადასხვა სახის ტრენინგი.ასევე, აპრილისა და მაისის თვეში საბავშვო ბაღებში მონიტორინგის მიზნით ვიზიტები განახორციელეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა.

2024 წლის 01 ივლისს ( საბავშვო ბაღების დარაჯების გარდა) ყველა თანამშრომელს მიეცემა ანაზღაურებადი შვებულება . აღმზრდელებს - 36 სამუშაო დღით, სხვა დანარჩენს - 24 სამუშაო დღით.

მიმდინარე წლის ზაფხულის განმავლობაში 2024-2025 სასწავლო წლისთვის გაერთიანების მიერ შეძენილი იქნება საბავშვო ბაღებისთვის საჭირო რესურსები.

მომხსენებლის შემდეგ სიტყვა ითხოვა დეპუტატმა შალვა ლოთქიფანიძემ. მან დადებითად შეაფასა მომხსენებლის გამოსვლა, მადლობა მოუხადა ნაყოფიერი მუშაობისთვის და დაამატა: კარგი იქნება თუ პედაგოგების ხელფასების ზრდასთან ერთად გაიზრდება საბავშვო ბაღების აღმზრდელების ხელფასი.

ასევე დეპუტატებმა დავით ხარძეიშვილმა და თეონა ადეიშვილმა აღნიშნეს, რომ ძალიან შრომატევადია აღმზრდელების მუშაობა და ჩვენც მივესალმებით თუ იქნება საშუალება მათი ხელფასების ზრდის.

გვანცა სიგუა: „ყოველწლიურად ეკონომიების ხარჯზე ჩვენი ბიუჯეტით საახალწლოდ მეცამეტე ხელფასს ვაძლევთ ყველა თანამშრომელს. რაც შეეხება ხელფასების მატებას, თუ მთავრობიდან არ იქნა დაშვებულ თანხები ჩვენი ბიუჯეტით ამას ვერ შევძლებთ“.

დავით ხარძეიშვილი: „თქვენ აღნიშნეთ, რომ დარეგისტრირება საბავშვო ბაღებში გადავიდა ელექტრონული ფორმაზე. ხომ არ გამოიწვია ამ პროცესმა მისაღები ბავშვების რაოდენობის კლება.“

გვანცა სიგუა: „ჩვენი გაერთიანება აქტურად იყო ამ პროცესში ჩაბმული და ვეხმარებოდით მშობლებს დარეგისტრირებაში. ასე რომ ამ მხრივ არაა პრობლემა. უფრო ბავშვთა შობადობის ნაკლებობის შედეგია.“

წარმოდგენილი პროექტის მიმართ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 18

წინააღმდეგი – არცერთი.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს განკარგულების პროექტი .ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2023-2024 სასწავლო წლის შეჯამების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

განკარგულება N გ-65.65241922

,,სხვადასხვა“-ში საკითხები არ განხილულა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.